აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №4

2013 წლის 8 მაისი

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანდართული დებულება.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 69 (სამოცდაცხრა) საშტატო ერთეულით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 11 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 20.06.2013წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 06.01.2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №36 - ვებგვერდი, 26.12.2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 04.01.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 30.12.2021წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 4 ივლისის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.07.2022წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №9 - ვებგვერდი, 30.08.2023წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 29.12.2023წ.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №39 დადგენილება (გაზეთი ,,აჭარა", 2007 წლის 6 აპრილი, №54 (22.798), გვ. 11-13).
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **არჩილ ხაბაძე**

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში –სამინისტრო) არის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება.

2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ამოცანებს.

4. სამინისტრო არის ერთმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

5. სამინისტროს აქვს დასრულებული ბალანსი, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა და ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

6. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.

7. სამინისტროს ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქუჩა №119.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

მუხლი 2. სამინისტროს ამოცანები და ფუნქციები

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების ერთიანი წესების, პირობებისა და ნორმატივების დანერგვისა და გამოყენების ხელშეწყობა;

გ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება;

დ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობა და კოორდინაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

$დ^1$) მართვის უფლებით გადაცემულ სამედიცინო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება;

ე) სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ვ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, დაავადებათა და მართვად ინფექციათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება;

ზ) გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდაფეთქებების, ეპიდემიების მიზეზების დადგენა, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

თ) იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა (მონიტორინგი, შეფასება);

ი) ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

კ) სამედიცინო სტატისტიკის წარმოება, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამების შემუშავება, მართვა, განხორციელება და კონტროლი;

მ) მოსახლეობის დასაქმების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, საჭირო წინადადებათა მომზადება;

ნ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა;

ო) პენსიონერების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი სხვა ფენებისათვის სოციალური დახმარების პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, განხორციელება და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

პ) მოსახლეობის სოციალური გარანტიების განმტკიცების მიზნით სახელმწიფო სოციალური, კერძო, ნებაყოფლობითი და, ასევე, სამედიცინო დაზღვევის სხვა ფორმების განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ჟ) საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით მოსახლეობის დროული ინფორმირება და კონსულტაციების გაწევა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული კანონებით, კანონქვემდებარე აქტებით დაწესებული შეღავათებისა და სოციალური დაცვის სხვა გარანტიების შესახებ;

რ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დევნილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, რეპატრიანტთა საგანგებო სიტუაციებით (სტიქიური უბედურებები, ეპიდემია და სხვ.) გამოწვეული მიგრაციული ნაკადის რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზების, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

ს) დასაქმების ხელშეწყობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით ან ვაუჩერის საშუალებით;

ტ) საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით მასზე დაკისრებული სხვა ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №25 - ვებგვერდი, 22.08.2017წ.

მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია:

ა) შეიმუშავოს და მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარადგინოს საკითხები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების ხელშეწყობის, მიგრაციის სფეროში არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

ბ) შეიმუშაოს სამინისტროს პროგრამების პროექტები და განსახილველად წარუდგინოს შესაბამის ორგანოს;

გ) განსაზღვროს ვაუჩერის ფორმა, მისი გაცემისა და გამოყენების წესი;

დ) ცალკეულ საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები - კომისიები და საბჭოები;

ე) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობას, წარუდგინოს წინადადებები მათი შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ე[1]) უზრუნველყოს მართვის უფლებით გადაცემულ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ სამედიცინო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) წარმართოს სამინისტროს სისტემის საკადრო პოლიტიკა, უზრუნველყოს სამინისტროს საჯარო მოხელეთა შეფასება და არსებულ ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარება;

ზ) გამართოს თათბირები, სემინარები და კონფერენციები თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

თ) დადგენილი წესით მიავლინოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების შესასწავლად, კონფერენციებსა და სხვა სახის შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად;

ი) უზრუნველყოს საზოგადოებასთან ურთიერთობა უშუალოდ ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით;

კ) უზრუნველყოს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და გაფართოება, თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირება, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს ხელშეკრულებები საქართველოსა და უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

მ) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ნ) განიხილოს მოქალაქეთა განცხადებები, საჩივრები, წინადადებები და დროულად მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ო) გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ სასამართლოში;

პ) პერიოდულად მოახსენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას თავისი საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ;

ჟ) განახორციელოს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №25 - ვებგვერდი, 22.08.2017წ.

მუხლი 4. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.
2. მინისტრი:

ა) ერთმმართველობის პრინციპით წარმართავს სამინისტროს საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე;

გ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაზე;

დ) კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს, დებს ადმინისტრაციულ და შრომით ხელშეკრულებებს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მოადგილეს, დასანიშნად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრის მოადგილეების, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას – სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) ამ დებულებისა და სტრუქტურის შესაბამისად, ამტკიცებს სამინისტროს საშტატო ნუსხას;

ზ) ითანხმებს სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხარჯთა ნუსხას, საშტატო ნუსხას, ხელფასის ფონდს, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფ სახსრებს, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს;

თ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, ხოლო სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ი) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სამედიცინო პროფილაქტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის ორგანოს/ორგანოებს;

კ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე;

ლ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობას წარუდგენს ანგარიშს სამინისტროს საქმიანობის შესახებ;

მ) უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ნ) ამტკიცებს სამინისტროს შინაგანაწესს;

ო) დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

პ) წარმოადგენს სამინისტროს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ჟ) ანაწილებს ფუნქციებს მოადგილეებსა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირებს შორის;

რ) შეაქვს წინადადებები მთავრობაში იმ საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს მმართველობის სფეროს

განეკუთვნება;

ს) კანონით დადგენილი წესით ადგენს დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისადმი;

ტ) წყვეტს სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის;

უ) ასრულებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მინისტრს ჰყავს 5 მოადგილე, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

4. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების) საქმიანობას, ახორციელებს და კონტროლს უწევს მინისტრის ბრძანებების, მითითებებისა და სხვა დავალებების შესრულებას.

5. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებანი და კომპეტენციის სფერო განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

6. მინისტრის არყოფნისას, უფლებამისილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის უფლებამისილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მინისტრის პირველი მოადგილის არყოფნისას, უფლებამისილების განხორციელების შეუძლებლობისას ან მინისტრის პირველი მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს მინისტრის მიერ წინასწარ განსაზღვრული მისი ერთ-ერთი მოადგილე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2024 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 29.11.2024წ.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემა და სტრუქტურა

1. სამინისტროს სისტემაში შედის:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები;

ბ) სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

2. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი;

გ) სოციალური დაცვის დეპარტამენტი;

დ) დევნილთა საქმეების დეპარტამენტი;

ე) სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი;

ვ) მონიტორინგის დეპარტამენტი;

ზ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

თ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი;

ი) ფინანსური მართვისა და ანალიზის დეპარტამენტი;

კ) იურიდიული დეპარტამენტი.

3. სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო.

4. სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მმართველობის სფერო, უფლებამოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 06.01.2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №25 - ვებგვერდი, 22.08.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 6. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო - ტექნიკური, ორგანიზაციული და სხვა სახის მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ) სამინისტროს ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-განახლების უზრუნველყოფა;

ბ[1]) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება;

ბ[2]) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშების მომზადება და უფლებამოსილი ორგანოსათვის წარდგენის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროს საქმისწარმოების ორგანიზება და არქივის წარმოება, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული კორესპოდენციების, აგრეთვე სხვა საკონტროლო დავალებების შესრულების ანალიზი და კონტროლი;

დ) სამინისტროს საიდუმლო საქმისწარმოების უზრუნველყოფა;

დ[1]) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შესახებ დასკვნის შედგენა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;

დ[2]) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

დ[3]) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლი;

ე) მინისტრის თათბირების, მინისტრის მიერ შექმნილი კომისიების/საბჭოების სხდომების ორგანიზება

და შესაბამისი ოქმების წარმოება, მიღებულ დავალებათა რეგისტრაცია და კონტროლი;

ვ) მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებთან მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ზ) (ამოღებულია - 25.08.2023, №9);

თ) (ამოღებულია - 25.08.2023, №9);

ი) (ამოღებულია - 25.08.2023, №9);

კ) სამინისტროს შინაგანაწესის შესრულების კონტროლის განხორციელება, სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის დისციპლინის დაცვის კონტროლი;

ლ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

მ) მინისტრისა და სამინისტროს წარმომადგენლებთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა ურთიერთობის ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

ნ) საინფორმაციო მასალების მომზადების, პრესრელიზების გავრცელების, ინტერვიუების, პრესკონფერენციებისა და მედიაბრიფინგების ორგანიზება;

ო) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში არსებული კომპიუტერული ქსელის სისტემის ადმინისტრირება და მართვა;

პ) სამინისტროს ვებ-გვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა, ინფორმაციის განახლება და ვებ-გვერდის მართვა;

ჟ) აღმასრულებელ ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებთან (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები) სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია;

რ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №9 - ვებგვერდი, 30.08.2023წ.

მუხლი 7. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

ბ) სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის პროექტების შემუშავება;

გ) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა;

დ) (ამოღებულია - 14.11.2022, №9);

ე) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაუჩერის ფორმის, მისი გაცემისა და გამოყენების წესის პროექტის მომზადება;

ვ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან წარმოდგენილი პროგრამების განხილვა და

ანალიზი;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შიდა სტანდარტების შემუშავებაში მეთოდური დახმარება;

თ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობა;

კ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების პროცესში მონაწილეობის მიღება;

ლ) სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების პერიოდული კორექტირება და სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის შესაბამისი წინადადებიბის წარდგენა;

მ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

ნ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;

ო) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 8. სოციალური დაცვის დეპარტამენტი

ა) კომპეტენციის ფარგლებში მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
ბ) სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად სოციალური დაცვის და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამების პროექტების შემუშავება;

გ) სოციალური დაცვის სფეროში მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

დ) პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის პროექტების შემუშავება;

ე) სოციალური დაცვის და სამედიცინო-პროფილაქტიკური პროგრამების მართვა;

ვ) სოციალური დაცვის პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაუჩერის ფორმის, მისი გაცემისა და გამოყენების წესის პროექტების მომზადება;

ზ) სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან წარმოდგენილი პროგრამების განხილვა და ანალიზი;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

ი) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

კ) მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში

ხელშეწყობა;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 9. დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) შესაბამის ორგანოებთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა (შემდგომში – დევნილთა) ნაკადების რეგულირების, მათი დასაქმების, დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზების, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესწავლა, მონიტორინგი და მათი უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ შესაბამისი წინადადებების მომზადება;
გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა შესახებ ინფორმაციის ანალიზი და მის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;
დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა მონაცემთა ბაზის შექმნა;
ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში მყოფ შენობებში მცხოვრებ დევნილთა აღწერის ორგანიზებასა და საცხოვრებელი ფართების იდენტიფიცირებაში მონაწილეობა;
ვ) დევნილთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით სამართლებრივი ბაზის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
ზ) სხვა სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დევნილთა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით;
თ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;
ი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 06.01.2014წ.

მუხლი 9[1]. სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი

სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ, სტიქიით დაზარალებულ ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტი), სტიქიით დაზარალებულ არაეკომიგრანტ და ხანძრით დაზარალებულ ოჯახთა დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზების, ადაპტაცია-ინტეგრაციისათვის პირობების შექმნისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

ბ) (ამოღებულია - 14.11.2022, №9);

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულთა შესახებ ინფორმაციის ანალიზი და მის საფუძველზე, დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების შესახებ სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;

დ) შესაბამის ორგანოებთან ერთად სტიქიასაშიში ტერიტორიებიდან მოსალოდნელი მიგრაციის პროგნოზირება და სტიქიით დაზარალებულთათვის გადაუდებელი დახმარების გაწევისა და დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

ე) სტიქიით დაზარალებულთა საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ვ) სტიქიის შედეგად დაზარალებულთა სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით სამართლებრივი ბაზის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 06.01.2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 10[1]. მონიტორინგის დეპარტამენტი
 მონიტორინგის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:
ა) სამინისტროს პროგრამების განხორციელებაზე კონტროლი;

ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შედეგების მონიტორინგი;

გ) პროგრამების მონიტორინგის შედეგებზე შესაბამისი აქტების შედგენა/გაფორმება;

დ) პროგრამების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სტიქიით დაზარალებულ, სტიქიით დაზარალებულ ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტი), სტიქიით დაზარალებულ არაეკომიგრანტ და ხანძრით დაზარალებულ ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური, მათ შორის საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შესწავლა/მონიტორინგი;

ვ) სამინისტროს პროგრამების, პროგრამებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა;

თ) მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებით დაინტერესებულ საჯარო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, შესაბამისი პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;

ი) მოქალაქეთა მიღება და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა;

კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 11. შიდა აუდიტის დეპარტამენტი
1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) დაწესებულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებსა და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება;

დ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ვ) სამინისტროსა და სამინისტროს სისტემის დაწესებულებების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ზ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებსა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

2. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის საგანი შესაძლებელია იყოს სამინისტროს სისტემაში მიმდინარე ყველა პროცესი და საქმიანობის სფერო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 25.03.2016წ.

მუხლი 12. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება;

ბ) სამინისტროს კვარტალური და წლიური ბალანსების შედგენა;

გ) სამინისტროს საბუღალტრო საქმიანობის ანალიზი, საბუღალტრო საქმიანობის სრულყოფისა და გაუმჯობესების შესახებ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება;

დ) სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი; ინვენტარიზაციის შედეგების განსაზღვრა და აღრიცხვა;

ე) (ამოღებულია - 14.11.2022, №9);

ვ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადებასა და უფლებამოსილი ორგანოსათვის წარდგენაში მონაწილეობის მიღება;

ზ) სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა ხელფასების, მატერიალური წახალისებისა და სხვა გასაცემი თანხების აღრიცხვა და გაცემა;

თ) სამინისტროს ფინანსური ვალდებულებათა დამოწმების დოკუმენტაციის მომზადება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენის უზრუნველყოფა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 13. ფინანსური მართვისა და ანალიზის დეპარტამენტი

ფინანსური მართვისა და ანალიზის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) სამინისტროს სისტემის ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის კოორდინაცია და მართვა;

ბ) სამინისტროს სისტემის წლიური და საშუალოვადიანი ბიუჯეტის პროექტის მომზადება, ერთიანი ბიუჯეტის შემუშავება და მისი აღსრულების კოორდინაცია;

გ) საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ხარჯთა ნუსხის შედგენა;

დ) სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებსა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად პროგრამების შემუშავება, ანგარიშის მომზადება და ანალიზი;

ე) სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტების შესრულების ანალიზი და ანგარიშგება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებე-ბიდან წარმოდგენილი პროგრამების განხილვა, მათში ცვლილებების განხორციელება, კონტროლი და ანალიზი;

ზ) სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა-შეჯერება-კორექტირება;

თ) მართვის უფლებით გადაცემულ სამედიცინო საწარმოებში პარტნიორის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, ასევე საწარმოების წესდებითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პარტნიორის უფლებამოსილებებს მიკუთვნებული საკითხების კონტროლი;

ი) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 28 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 28.06.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №25 - ვებგვერდი, 22.08.2017წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 14 ნოემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 15.11.2022წ.

მუხლი 14. იურიდიული დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ბ) მინისტრის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

გ) სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური და ნორმატიული ხასიათის სამართლებრივი აქტების შესაბამისობის დადგენა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან;

დ) კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან, სამინისტროს სისტემის დაწესებულებებიდან, სხვადასხვა უწყებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის (წერილი, განცხადება, მიმართვა, საჩივარი და სხვა) განხილვა და შესაბამისი პროექტების მომზადება;

ვ) სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;

ზ) ნორმატიული აქტების სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ელექტრონულ პროგრამაში ფორმირება;

თ) სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა;

ი) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

კ) სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ლ) ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება; სამინისტროს ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის პერიოდული განახლება;

მ) სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობების მომზადების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენა;

ნ) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა და დადგენილი წესით კონკურსის ჩატარების ორგანიზება;

ო) მინისტრის მიერ დასანიშნ თანამდებობებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

პ) სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე, ასევე, შვებულებისა და მივლინების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ჟ) სტაჟირებასა და პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და პროცესის ზედამხედველობა;

რ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 25 აგვისტოს დადგენილება №9 - ვებგვერდი, 30.08.2023წ.

მუხლი 15. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა

1. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი უშუალოდ ემორჩილება მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს ან მინისტრის მოადგილეს.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი:

ა) ანაწილებს ფუნქციებს მისდამი დაქვემდებარებულ საჯარო მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

ბ) ხელს აწერს და ვიზას ადებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის ფარგლებში;

გ) აბარებს ანგარიშს სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს (მინისტრი, პირველი მოადგილე, მოადგილე) სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის შესახებ;

დ) წარმოადგენს სტრუქტურულ ქვედანაყოფს თავისი მოვალეობის შესრულებისას და სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელით წარუდგენს დასკვნებს მინისტრს ან მინისტრის მოადგილეს, რომელიც მინისტრის ბრძანების შესაბამისად ხელმძღვანელობს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

ე) სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს ქვედანაყოფის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოსამსახურეების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სტრუქტურული ქვედანაყოფის ამოცანების შესასრულებლად;

ზ) ასრულებს ამ დებულებით, სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებით, მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის ან მინისტრის მოადგილის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ამოცანებს.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

5. სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს განყოფილებებად და სხვა სტრუქტურულ ერთეულებად.

მუხლი 16. მინისტრის სათათბირო ორგანოები

1. მინისტრს უფლება აქვს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და

მომზადების მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები _ კომისიები და საბჭოები.
2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს სახელმწიფო დაწესებულებებისაგან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს მინისტრს.

5. სახელმწიფო მოხელე ან სხვა პირი, რომელიც სახელმწიფო მოხელე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

მუხლი 17. სამინისტროს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი
სამინისტროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კა-ნონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.